საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. კ.

საჩივრის ავტორის მხარდამჭერი: ნ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.03.2023

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №026/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ქ.-ს /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ქ.-ს თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 29 მარტს საჩივრით მომართა შპს „კამარას“ დირექტორის ზ. კ.-ის მხარდამჭერმა ნ. თ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ქ.-ს თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2023 წლის 22 მაისს საჩივრის ავტორის მხარდამჭერმა ნ. თ.-მა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომაში, სადაც მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის მხარდამჭერის განმარტებით, ადვოკატი ნ. ქ. წარმოადგენს მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს, რომელმაც მას და მის შვილს - ზ. კ.-ს (მხარდაჭერის მიმღებს) არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, როგორც სასამართლოში სხდომის მიმდინარეობისას, ისე პირად საუბარში სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ. მომჩივანის მხარდამჭერის განმარტებით, ადვოკატი ნ. ქ. პირველივე დღიდან ცდილობდა მასზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას, იმ მიზნით, რომ ნ. თ.-ს სათანადოდ ვერ დაეცვა საკუთარი ინტერესები სასამართლო პროცესზე. კერძოდ, ადვოკატი ნ. ქ., სასამართლო სხდომის დარბაზში, შესვენებებსა და პროცესების დასრულების შემდეგ ეუბნებოდა, რომ თავად ნ. თ. იყო „მიზეზი ყველაფრის, რაც მოხდა კომპანიაში," რომ „ქარხანა ვერ ამუშავდა" მისი ბრალით, რომ მის გამო „რაღაც განადგურდა", „რაღაც გაფუჭდა", კომპანია მან მიიყვანა გაკოტრებამდე და სხვ. ამასთან, როცა შუამდგომლობებს სასამართლო არ დაუკმაყოფილებდა ვადის დაუცველობის ან სხვა მიზეზების გამო, ბრალს სდებდა ნ. თ.-ს და ამბობდა, რომ ის ახდენდა გავლენას სასამართლოზე, ეჭვქვეშ დააყენა ექსპერტის დასკვნა და შეურაცხყოფა მიაყენა თავად ექსპერტსაც, ხოლო ნ. თ.-ს ბრალი დასდო, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

1.3 მომჩივანის მხარდამჭერის განმარტებით, ადვოკატი ნ. ქ. ცდილობდა მისი ღირსების შელახვას და ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, რომ ნ. თ. იმყოფებოდა მეორე ქორწინებაში, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატი ნ. ქ. ხშირად საუბრობდა შპს „კ." - ს ყოფილ დამფუძნებელზე, გ. მ.-ზე, მის მიერ კომპანიის ჩრდილოვან მმართველობაზე და 2023 წლის 3 თებერვლის სასამართლო სხდომაზე. მომჩივანის განმარტებით, ადგილი ჰქონდა შემდეგ ინცინდენტსაც: მოსამართლემ ჰკითხა ნ. თ.-ს, თუ რა დოკუმენტები იყო ქარხანაში, რაზეც ნ. თ.-მა განმარტა, რომ იმის გამო, რომ ფაქტობრივად ქუჩაში იყვნენ დარჩენილები ოჯახის ნივთები, მათ შორის ავეჯი, წიგნები, დოკუმენტები და მზითევი იქ ჰქონდა შეტანილი, რაზეც საპასუხოდ ადვოკატმა ნ. ქ.-მ შემდეგი სახის შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა: „რომელი მზითევი, [...] რომელი ქორწინებიდან, გ. მ.-სთან ქორწინებიდან?", რაც მომჩივანის განმარტებით, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან გ. მ. იყოს შპს „კ." - ს ყოფილი დამფუძნებელი პარტნიორი, რომელთანაც მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა, ამასთან აღნიშნულ პიროვნებას ჰყავს ოჯახი, ხოლო თავად ნ. თ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ არ დაქორწინებულა და ამ ინფორმაციის გაჟღერებას არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოებასთან. საჩივრის ავტორის მხარდამჭერის თანახმად, სხდომის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ნ. ქ.-მ იგივე კვლავ გაუმეორა ნ. თ.-ს, რამაც გაანერვიულა საჩივრის ავტორი და მას რამდენჯერმე დასჭირდა სასწრაფო ეკიპაჟის გამოძახება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ქ. შეუფერებლად იქცეოდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და განზრახ უსვამდა გამაღიზიანებელ, პროვოკაციულ შეკითხვებს მოწმეებს, მათ შორის ერთ-ერთ ექსპერტსაც, რომელიც ადვოკატის ქმედების გამო პროცესზე ცუდად გახდა.

1.4 საჩივრის ავტორის მხარდამჭერის განმარტებით, ადვოკატი ნ. ქ. შეურაცხმყოფელი ფრაზებით მოიხსენიებდა ზ. კ.-ს და ხაზს უსვამდა მის შშმ სტატუსს, კერძოდ, ადვოკატი ნ. ქ. ეკითხებოდა თუ რატომ გადააფორმა კომპანიის 98% წილი შშმ პირზე, ასევე რატომ დაუმალა ინვესტორებს ზ. კ.-ის შშმ სტატუსის შესახებ ინფორმაცია (მომჩივანის მხარდამჭერის

განმარტებით, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ მოპასუხეები) და ამით საფრთხის ქვეშ რატომ დააყენა მათი ინტერესები, ამასთან ადვოკატმა ნ. ქ.-მ სხდომაზე განაცხადა: „ქალბატონო იქნებ ფსიქიკურად შეშლილია თქვენი შვილი, ჩვენ ხომ არ ვიცით?“, ხოლო სასამართლო სხდომის გარეთ კი ნ. თ.-სთან ზ. კ.ზე პირდაპირ საუბრობდა, ისეთი დამამცირებელი სიტყვებით, როგორებიცაა: „ფსიქიკურად შეშლილი“ „სულელი“, უწოდა მას „უნარშეზღუდული“ მაშინ, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ზ. კ. არის შშმ პირი, მისი შეზღუდული სტატუსი არ გამოიხატება ფსიქიკურ პრობლემებში, არამედ სხვა სახის შესაძლებლობების შეზღუდვაში. გარდა ამისა, მომჩივანის მხარდამჭერის განმარტებით, სასამართლო სხდომებზე მას ადვოკატი ნ. ქ. ბრალს სდებდა იმაში, რომ ის ფარად იყენებდა მისი შვილის შშმ სტატუსს, იყო „ემოციური“ და „ხელისშემშლელი“ და ამგვარი განცხადებებით ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა სხვებზე, მათ შორის სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე.

1.5 საჩივრის ავტორის მხარდამჭერის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ქ.-მ სასამართლოში წარადგინა ფარული აუდიო ჩანაწერი, რომელიც იქიდან გამომდინარე, რომ თავად საუბრის მონაწილის მიერ იქნა ჩაწერილი, არ წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ მოხვდა ეს ჩანაწერი მის ხელში და მეორე მნიშვნელოვან საკითხად მიუთითა ის, რომ ამ ჩანაწერის სასამართლოში წარდგენამ (ჩანაწერის ასლი გადაეცა ასევე ნ. თ.-საც), მიუხედავად იმისა, რომ განაპირობა ის, რომ მომჩივანის მხარდამჭერს ემუქრებოდნენ, ჩანაწერი ასევე მოისმინა ამ საუბრის ერთმა, თუ ორმა მონაწილემ, რომლებმაც ამოიცნეს საკუთარი ხმა ჩანაწერში და ნ. თ.-ს მოუწია თავის მართლება და იმის მტკიცება, რომ ჩაწერას ის არ ახორციელებდა. აღნიშნული არასასურველი მდგომარეობა გრძელდებოდა 2-3 თვის განმავლობაში, რის გამოც მისმა შვილმაც კი უთხრა, რომ იქნებ ჩაიწერა და არ ახსოვდა. ეს ყოველივე კი ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მის ემოციურ მდგომარეობაზე და შესაბამისად შემდგომში უკვე ჯანმრთელობაზე.

1.6 საჩივრის ავტორმა 2023 წლის 1 ივნისს, ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატი კვლავ განაგრძობდა მის შეურაცხყოფას, კერძოდ 24.05.2023 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოსი საქმის N---განხილვისას, ადვოკატმა ნ. ქ.-მ სხდომის დარბაზიდან გამოსვლისთანავე, ნ. თ.-სა და მის თანმხლებ პირს მიმართა უხეში, შეურაცხმყოფელი ტექსტით, რის შემდეგაც დატოვა სასამართლოს შენობა. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი ახსნა-განმარტებაში განზრახ არასწორად წარმოაჩენს ფაქტებს და მისი განცხადებები ყოველთვის არის ქსენოფობიური, დისკრიმინაციული, საუბრისას ადვოკატი იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „დასახვრეტია“, „დასაჭერია“, „ფსიქიკურად შეშლილია“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 24 მაისს ადვოკატმა ნ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა - განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარში ასახული გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობას ახორციელებს 2022 წლის გაზაფხულიდან. მისი განმარტებით,

თავდაპირველად, აღნიშნულ საქმეს უძღვებოდა სხვა ადვოკატი, თუმცა მასთან შეწყდა სამართლებრივი ურთიერთობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი იყო ნ. თ.-ის მხრიდან გამუდმებით ემოციური და ხელისშემშლელი ქმედებები.

2.3 ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, ნ. თ., იმით დაიმედებული, რომ მისი კლიენტი მოკლე დროში ვერ მოიძიებდა ახალ ადვოკატს, მოპასუხე ადვოკატის დანახვამ სასამართლოში ძალიან გააღიაზიანა და ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე დაიწყო მისი კლიენტის მიმართ უშვერი სიტყვებით მიმართვა, ხოლო სხდომაზე იმუქრებოდა, რომ არავის დააჩაგვრინებდა მის შვილს, რომელსაც არ ჰქონდა კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისი ეს ემოციური განცხადება თავდაპირველად ადვოკატ ნ. ქ.-ს ა და მისი კოლეგა ადვოკატისთვის (რომელიც მასთან ერთად ახორციელებს აღნიშნულ საქმეში წარმომადგენლობას) იყო ამაღელვებელი და როდესაც ნ. თ.-მა დროებით დარბაზი დატოვა, ადვოკატ ნ. ქ.-ს კოლეგა ადვოკატმა გამოიჩინა კიდეც სურვილი დახმარებოდა მას მედიკამენტით, თუმცა, რადგან საჩივრის ავტორის მხარდამჭერის ადვოკატები ამ ყველაფერს მშვიდად უყურებდნენ და არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ, ადვოკატ ნ. ქ.-ს და მის კოლეგას გაუჩნდათ ეჭვი, რომ მომჩივანი რეალურად დახმარებას არ საჭიროებდა და მისი საქციელი სასამართლოზე ზემოქმედებისკენ იყო მიმართული. ამის შემდგომაც ნ. თ.-მა არაერთხელ სცადა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ხაზგასმით და მის ჩაგვრაში მოპასუხეების დადანაშაულებით „ემოციურად დაეთრგუნა“ დარბაზი. ამასთან, მოპასუხე ადვოკატმა განმარტა ისიც, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვების გაჟღერება ნ. თ.-ის მიერ მოპასუხეების, ანუ ადვოკატ ნ. ქ.-ს კლიენტების, მიმართ არ შემოიფარგლა მხოლოდ ზემოაღნიშნული სასამართლო სხდომის დაწყებამდე პერიოდით, არამედ მსგავს ქმედებებს ის ახორციელებს სისტემატურად, რაზეც მეტყველებს საჩივარში ნ. თ.-ის მიერ გამოყენებული ფრაზებიც: „თაღლითები“, „დამნაშავეები“, ასევე ერთ-ერთი სხდომის შემდეგ, ნ. თ.-მა მუქარის წერილიც კი გაუგზავნა მის კლიენტებს აპლიკაცია მესენჯერის მეშვეობით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, რაც შეეხება საჩივრის ავტორის მხარდამჭერის განცხადებას აუდიტორული დასკვნის ეჭქვეშ დაყენების შესახებ, ეს განაპირობა სფეროს ექსპერტებთან კონსულტაციების გავლამ, აღნიშნული იყო კლიენტის ინტერესებში მოქმედების ვალდებულების ნაწილი და შეჯიბრებითი პროცესისთვის დამახასიათებელი ქმედება. რაც შეეხება ვიდეო ჩანაწერის წარდგენას, ეს ემსახურებოდა კომპანიაში გ. მ.-ს (ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, ის იყო კომპანიის დამფუძნებელი და ძველი დირექტორი და სწორედ მან გადასცა საჩუქრად საკუთრებაში წილები ზ. კ.-ს) ჩრდილოვანი მმართველობის საკითხის გამოვლენას, რაც იყო ერთ-ერთი სადავო გარემოება სასამართლოში და ამიტომ მისი წარდგენა იყო მიმართული სასამართლოში მოპასუხეების ინტერესების სათანადოდ დაცვისკენ.

2.5 3 თებერვლის სხდომაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ნ. თ.-ის პრეტენზიას, ადვოკატმა ნ. ქ.-მ განმარტა, რომ ექსპერტის მოწმედ დაკითხვის დროს, კონკრეტული დანადგარის მონტაჟისას სპეციალური პროექტის არსებობა - არარსებობის თაობაზე დასმული კითხვებისას, წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტებს წარმოადგენდა საწარმოში დანადგართან განთავსებული ცხრატომიანი დოკუმენტების შეკვრა. ნ. თ.-მა სარკაზმით, მოპასუხე მხარის დაცინვის მიზნით განაცხადა, რომ

ცხრატომიანი შეკვრა დოკუმენტებისა იყო მზითევის წიგნები. იმის გამო, რომ მოპასუხე ადვოკატს კლიენტისაგან ჰქონდა ინფორმაცია საწარმოს დეფაქტო მმართველის გ. მ.-ს და ნ. თ.-ის ფაქტობრივ ქორწინებაში ყოფნის შესახებ და სწორედ აქედან გამომდინარე დაუსვა მოწინააღმდეგე მხარეს ე.წ. „მზითვი“- თან დაკავშირებით (რაშიც ცხრატომიანი დოკუმენტების შეკვრა იგულისხმებოდა ადვოკატის მხრიდან), რაც წარმოადგენდა ისევ და ისევ კლიენტის ინტერესებში მოქმედებას, რადგან ემსახურებოდა იმ ფაქტის დადგენის საკითხს, რომ ნამდვილად ჰქონდა და დღემდე აქვს დეფაქტო მმართველს კავშირი საწარმოს მართვასთან. ადვოკატმა ნ. ქ.-მ დამატებით ასევე განმარტა, ისიც, რომ, თუ ამან განაპირობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, მაშინ რატომ იქნა სამედიცინო დახმარება გამოძახებული არა 3 თებერვალს, არამედ დღეების შემდეგ.

2.6 მოპასუხე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ გამონათქვამებს ზ. კ.-ის მიმართ, არის სრულიად დაუსაბუთებელი, აბსურდული და ცილისმწამებლური. ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ტერმინით - „უნარშეზღუდული“ თავად ნ. თ. მოიხსენიებს საკუთარ შვილს საჩივარში.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მის მიმართ წაყენებული პრეტენზიები არის უსაფუძვლო, მისი ქმედებები ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის ინტერესებში მოქმედების ვალდებულების დაცვას და იყო შეჯიბრებითი პროცესის ნაწილი, ხოლო ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი ემსახურება მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული ქმედებით აიძულოს ადვოკატი ნ. ქ., ჩამოშორდეს საქმეს სასამართლოში.

II. სამოტივაციო ნაწილი

3.1 ადვოკატი ნ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

3.2 ნ. თ.-მა, როგორც შპს „კ.ს“ დირექტორის ზ. კ.-ის მხარდამჭერმა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 29 მარტს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2023 წლის 09 დეკემბერს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ქ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2023 წლის სხდომაზე (საქმე N---) მასსა და მის შვილს - ზ. კ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ადვოკატმა ნ. ქ.-მ ზ. კ.-ის მიმართ გააჟღერა შემდეგი ფრაზები: „ქალბატონო იქნებ ფსიქიკურად შეშლილია თქვენი შვილი, ჩვენ ხომ არ ვიცით?“, ხოლო სასამართლო პროცესის გარეთ, ზ. კ.-ს მოიხსენიებდა შემდეგი ფრაზებით: „უნარშეზღუდული“; „სულელი“; „ფსიქიკურად შეშლილი“; ხოლო ნ. თ.-ის მიმართ აცხადებდა, რომ „ის იყო მიზეზი ყველაფრის, რაც მოხდა კომპანიაში,“ რომ „ქარხანა ვერ ამუშავდა“ მისი ბრალით, რომ მის გამო „რაღაც განადგურდა“, „რაღაც გაფუჭდა“, კომპანია მან მიიყვანა გაკოტრებამდე, ბრალს სდებდა ნ. თ.-ს და ამბობდა, რომ ის ახდენდა გავლენას სასამართლოზე, ეჭვქვეშ დააყენა ექსპერტის დასკვნა და შეურაცხყოფა მიაყენა თავად ექსპერტსაც, ხოლო ნ. თ.-ს ბრალი დასდო, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრდა.“ გარდა ამისა, ადვოკატმა ბრალი დასდო ნ. თ.-ს, რომ ის იმყოფებოდა ფაქტობრივ ქორწინებაში შპს „კ.ს“ დამფუძნებელ პარტნიორთან - გ. მ.-სთან, რაც ემსახურებოდა მომჩივანის ღირსების შელახვას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან.... (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლები 9.1, 9.4)

5.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კომისიის 03/10/2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 025/15 პარ. 7.3).

5.4 „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის ვალდებულებაა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“ (იხ. ეთიკის კომისიის 24/01/2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №075/11 პარ.3.6).

5.5 ,,გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით..... ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.

5.6 ადამიანის უფლებათა შორის გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით (17.1 და 17.2 მუხლები). თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ამომწურავადაა გაწერილი ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც იზღუდება ინფორმაციის გავრცელების თუ მიღების თავისუფლება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია .... სხვათა უფლებების დასაცავად...“.

5.7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე N1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

5.8 „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“ (ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N076/10). ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N2317/12/06).

5.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ

მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი ისეთი მტკიცებულებები, რაც დააკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ სადავო ფაქტი ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

5.11 საჩივრის ავტორის მხარდამჭერი, ნ. თ. საჩივარში მიუთითებს ადვოკატ ნ. ქ.-ს ქცევაზე სასამართლო პროცესზე - სასამართლო დარბაზში და სასამართლო დარბაზს გარეთ, რა დროსაც ის ზ. კ.-ს მიმართ აჟღერებდა შემდეგ ფრაზებს: „ქალბატონო იქნებ ფსიქიკურად შეშლილია თქვენი შვილი, ჩვენ ხომ არ ვიცით?“; „უნარშეზღუდული“; „სულელი“; „ფსიქიკურად შეშლილი“ და შეურაცხყოფას აყენებდა თავად ნ. თ.-საც, რომლის მიმართაც, რეპუტაციის შელახვის მიზნით განზრახ აჟღერებდა არასწორ ინფორმაციას. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ნ. თ.-მა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---.

5.12 კოლეგიამ შეაფასა მომჩივანის პრეტენზია ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერის საფუძველზე (იხ. 2023 წლის 03 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი, საქმეზე N---). საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა სასამართლო სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ ადვოკატი ნ. ქ. წარმოადგენს საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს. ოქმის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა დაძაბულ ფორმატში, მხარეთა პაექრობის ფონზე. დაპირისპირებულ მხარეთა ადვოკატები გამოთქვამდნენ კრიტიკულ მოსაზრებებს, შეკითხვებს უსვამდნენ ექსპერტებსა და მხარეებს. სასამართლო სხდომის ოქმის ჩანაწერში არ დგინდება ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ ზ. კ.-ის მიმართ ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორებიცაა „ქალბატონო იქნებ ფსიქიკურად შეშლილია თქვენი შვილი, ჩვენ ხომ არ ვიცით?“; „უნარშეზღუდული“; „სულელი“; „ფსიქიკურად შეშლილი“. გარდა სხდომის ოქმის ჩანაწერია, ნ. თ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ სადავო ფრაზების გაჟღერებას, როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ისე დარბაზის გარეთ. რაც შეეხება, ადვოკატის მიმართ ექსპერტისათვის გარკვეული შეკითხვების დასმას, სასამართლო სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი ნ. ქ., კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და მიმდინარე დავასთან დაკავშირებით ფაქტების დადგენის მიზნით, გარკვეულ შეკითხვებს უსვამს ექსპერტს. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის სტრატეგია და ტაქტიკა შესაძლოა მიუღებელი იყოს მოწინააღმდეგე მხარისათვის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ნ. ქ. ახორციელებდა პროფესიულ ვალდებულებას, ეთიკის ნორმების დაცვით შეკითხვებს უსვამდა მოწმის სტატუსით მოწვეულ ექსპერტს. ადვოკატის მიერ დასმული კითხვები არ იყო ამორალური, უხამსი ან/და

საზოგადოებისათვის მიუღებელი, უწმაწური ლექსიკით გადმოცემული და შესაბამისად, ისინი სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით.

5.13 რაც შეეხება, ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ უშუალოდ ნ. თ.-ის მიმართ გაჟღერებულ ფრაზეოლოგიას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2023 წლის სხდომის ოქმის (საქმე N---) მოსმენის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატი ნ. ქ. შეკითხვებს უსვამს მოწმე სიმონ ბარამიძეს, აღნიშნულ პროცესში კი საჩივრის ავტორი აჟღერებს გარკვეულ რეპლიკას, რის შემდეგაც, სასამართლო სხდომის ოქმის ჩანაწერის 16:06:00 საათზე ნ. თ.-სა და ადვოკატ ნ. ქ.-ს შორის დაძაბულ ფორმატში, რამდენიმე წუთის განმავლობაში მიმდინარეობს შემდეგი დიალოგი:

ნ. თ.: „იქ ჩემი მზითევია, მთელი ჩემი ქონება იქაა..“

ადვოკატი ნ. ქ. კითხვას უსვამს ნ. თ.-ს: „რომელი ქორწინებიდან, მალანიასთან ქორწინებიდან?“

ნ. თ.: „აბა ახლა თავი შეიკავეთ! რა დღეში ხართ?!“

მოსამართლე: „თქვენ ხომ ადვოკატი ხართ, აქ რამე პირადი ის გაქვთ, დაინტერესებული ხართ ინტიმური იმით, რა უფლება გაქვთ? ამ ადამიანთან დაამთავრეთ კითხვები. საქმეზე დასვით კითხვები.“

ადვოკატი ნ. ქ.: „მზითევი თვითონ მიხსენა და ამიტომ ვკითხე, ჩემთვის ცნობილია, რომ მეორე ქორწინებაში მალანიასთან არის.“

მოსამართლე: „საქმეზე კითხვა თუ გაქვთ დასვით, გაქვთ კითხვები კიდევ?“

ადვოკატი ნ. ქ.: „დიახ.“

ნ. თ.: „ეს შეურაცხყოფაა...“

ადვოკატი ნ. ქ.: „ბატონო სიმონ, ადასტურებთ, რომ იყო CO2-ის დანადგარები?“

მოსამართლის შენიშვნის შემდეგ, ადვოკატი ნ. ქ. განაგრძობს ექსპერტისთვის შეკითხვების დასმას და აღარ უსვამს კითხვებს ნ. თ.-ს.

5.14 საპროცესო კოლეგია ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ გაჟღერებულ შეკითხვებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ დასახელებულ შემთხვევაში ნ. თ. წარმოადგენს ზ. კ.-ის მხარდამჭერს და სწორედ მისი სახელით დავობს ადვოკატის მიერ პროფესიული სტანდარტების შესაძლო დარღვევაზე, თუმცა იმ შემთხვევაშიც, კი საჩივრის ავტორს, საკუთარი სახელით რომ წარმოედგინა პრეტენზია ეთიკის კომისიაში, საგულისხმო იქნებოდა, რომ ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვები უნდა ატარებდეს ობიექტურად შეურაცხმყოფელ შინაარსს. კოლეგია ვერ იმსჯელებს მხოლოდ და მხოლოდ მომჩივანის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალიწინებით. სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას, გამოხატულს ზეპირი ფორმით. ამასთან, შეურაცხყოფა აუცილებლად გულისხმოს არაეთიკური და ამორალური ფრაზების ხმარებას. პიროვნებისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევი შესაძლოა იყოს სიმართლეც, გამოთქმული ეთიკურობის ფარგლებში, რაც არ უნდა შეფასდეს სიტყვიერ შეურაცხყოფად,

თუნდაც ასეთი ფრაზები პირმა აღიქვას როგორც მისი თავმოყვარეობის შელახვა (ეთიკის კომისიის 15.09.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/19). საპროცესო კოლეგია ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ ადვოკატის შეკითხვები ნ. თ.-ისათვის შეურაცხმყოფელი არ უნდა ყოფილიყო. კოლეგია ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ როცა ადვოკატი სიტყვიერად გამოხატავს სათქმელს, რომელიც ეთიკურობის ფარგლებშია მოქცეული, იგი წინასწარ ვერ განჭვრეტს რა შეიძლება იყოს „შეურაცხმყოფელი“ მეორე მხარისთვის. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია შეურაცხყოფის ფაქტს აფასებს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით და აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანს მორალის და ზნეობის საკუთარი სტანდარტები გააჩნია. თუმცა არსებობს დადგენილი მორალი და ზნეობა, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო და საყოველთაოდ აღიარებულია. შესაძლოა ადამიანის გაღიზიანება, გაბრაზება (მაგრამ არა შეურაცხყოფა, რადგან შეურაცხყოფა მხოლოდ ამორალური ფორმით არის შესაძლებელი) ისეთმა სიტყვებმაც გამოიწვიოს, რომელიც სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში და არ წარმოადგენს შეურაცხყოფას, რადგან ადამიანის შეურაცხყოფა ხდება უხამსი სიტყვების გამოთქმით (ეთიკის კომისიის 15.09.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/19). ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ გაჟღერებული შეკითხვები გამოხატული არ არის უწესო ან/და დამამცირებელი ფორმით და შეკითხვებს არ აქვს შეურაცხმყოფელი მიზანი. შესაბამისად, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არ დგინდება ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევა პროცესის მონაწილის მიმართ და ადვოკატის მიერ გაჟღერებული ტერმინები არ არის შეურაცხმყოფელი/ მიზნად არ ისახავს პროცესის მონაწილის შეურაცხყოფას.

5.15 მიუხედავად იმისა, რომ ნ. თ. ეთიკის კომისიაში წარმოადგენს ზ. კ.-ის ინტერესებს, საპროცესო კოლეგია ნ. თ.-ის მიერ 01.06.2023 წელს წარმოდგენილ განცხადებაზე, სადაც ნ. თ. ზოგადად უთითებს, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ 24.05.2023 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ზ. მ.-სთან N---საქმის განხილვის შემდეგ, უხეშად მიმართა და შეურაცხყოფა მიაყენა მას და მის თანმხლებ პირს, განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ მხარემ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად თავად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №---, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ნ. თ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ ნ. თ.-ს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა ნ. ქ.-მ. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს

საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია საქმეზე მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მისი პოზიციისათვის სასარგებლო მტკიცებულებები. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, აუცილებელია, რომ დადასტურდეს მტკიცებულებებით, რომელებიც მიუთითებენ საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებზე. შესაბამისად, ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ, ეთიკის კოდექსით დაცული სტანდარტების დარღვევა არც ამ შემთხვევაში იქნებოდა სახეზე.

5.16 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, ადვოკატ ნ. ქ.-ს არ გამოუყენებია ისეთი ფრაზები, რაც საფუძველს მისცემდა ეთიკის კომისიას პროცესის მონაწილის პატივისცემის პრინციპის დარღვევით აღეძრა ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური დევნა.

5.17 შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ არსებობს ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლისა და ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლის დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.18 შესაბამისად, ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა საჩივრის ავტორების მიერ დასახელებული პრეტენზიების ნაწილში, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №026/23 ადვოკატ ნ. ქ.-ს /სიითი№/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/